

მაკა მონასელიძე

ზმნისწინი საუშალი  
გვარის ზმნებთან



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 2001

ამ პატარა კრებულში უდროოდ წასული ახალგაზრდა ავტორის ოთხი სტატიაა დაბეჭდილი, რომლებშიც მოცემულია ცდა სტატიკურ ზმნათა კვლევისა ზმნისწინთა ფუნქციების დადგენის მიზნით. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზმნისწინების მიერ ოდნობითობის გამოხატვის შესაძლებლობას, აგრეთვე იმ შემთხვევებს, როდესაც ზმნისწინის უმთავრესი ფუნქცია გეზისა და ორიენტაციის ჩვენებისა ნეიტრალიზებულია და სიტყვაფორმა ახალ, ზმნური ფუძის ჩვეული, საყოველთაო მნიშვნელობისაგან შორს მდგომ შინაარსს იძენს.

ნაშრომი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ამ საკითხის კვლევით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი	თ. უთურგაიძე
რეცენზენტები:	შ. აფრიღონიძე ე. კოშორიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

გ 4602000000  
608(06)-01

ISBN 99928-33-47-5

## წინასიტყვაობა

ეს პატარა წიგნი შეიკრა უდროოდ წასული სრულიად ახალგაზრდა ავტორის ოთხი წერილის მიხედვით, მეტი აღარ დასცალდა. გატაცებით დაწყებული შრომა დასაწყისშივე შეწყდა, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, რაც მოასწრო.

მ. მონასელიძეს საკვლევად რამდენიმე ზმნისწინი ჰქონდა; მათი ფუნქციები უნდა შეესწავლა სხვადასხვა ტიპის ზმნებთან. დაიწყო მედიოაქტივებით.

მედიოაქტიურ ზმნებთან, რომლებიც სტატიკურად მიიჩნია (გაზიარებული არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი), ზმნისწინებს ავტორმა „მეორადი ხმარების“ უწოდა: „საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ სტატიკურ ზმნებში შე-, შემო-, ჩა-, ჩამო-, (წა-, წამო-) ერთგვარად „მეორადი ხმარების“ ზმნისწინებია და უფრო ამხსნელი სიტყვით გამოხატულ მიმართებაზე მიუთითებს (შედის, ჩადის, შემოდის, ჩამოდის და მისთ.)“ (გვ. 5, ხ.ჩ. – თ.უ.). რადგან სტატიკური ზმნები თავისი ბუნებით გეზისა და ორიენტაციის გამოხატვას არ საჭიროებენ, ბუნებრივია, ზმნისწინი ამ ფორმებთან უთუოდ სხვა ზმნისაა, ეკუთვნის იმას, რომელიც მოძრაობას გამოხატავს, ამიტომ ჩა-ბზუნის, ჩა-ბღაუის, ჩა-ჩუხ-ჩუხებს და სხვ. ამგვარ ფორმებში უნდა ვივარაუდოთ „მიდის ბზუილით“, „მიდის ბღავილით“, „მიდის ჩუხჩუხით“ და სხვ. ცალკე აღებული ბზუილი, ბღავილი, ჩუხჩუხი რაღაც მდგომარეობაა, რომელსაც გეზი ეძღვევა მხოლოდ მოძრაობის ზმნასთან შეწყვილებით. მედიოაქტივითა უძრავლესობა, რომელიც ასეთ კავშირს ვერ ამყარებს, გეზის კატეგორიის ზმნისწინსაც ვერ გუობს, მაგ.: წუხს, ხარობს, წვალობს, ნანობს, ვაჟკაცობს, ყაჩაღობს და სხვ.

მოდვენო წერილში ნაჩვენებია ზმნისწინთა უნარი, შეცვალოს ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა. საქმე ისევ სტატიკურ ზმნებს ეხება: თუ ისინი თავისი ბუნებით გეზის ელემენტებს ვერ გუობენ, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ზმნისწინებს გრამატიკული ფუნქცია ვერ ექნება, ამიტომ დერივაციულ ელემენტებად მოიქცევიან: სისინებს ~ წა-ისისინებს, ვაჟკაცობს ~ წა-ივაჟკაცობს და სხვ. ამ ტიპის წყვილებში ზმნისწინი ოდნობითობის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია და არა გრამატიკული ფუნქციის მქონე ელემენტი.

ლექსიკური დაპირისპირების უნარი ზმნისწინებმა გამოაჩინეს პირველად კაუზატივებთან: გააწითლებს ~ შე-აწითლებს, აამღვრევს ~ შეამღვრევს და სხვ. აქაც შე- ზმნისწინს ოდნობითობის ლექსიკური

გაგება შეაქვს ზმნებში. ამ თვალსაზრისით არის განზილული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მასალა (ის ტომები, რომლებიც საკვლევ შე-, ჩა-, წა-... ზმნისწინებს შეიცავენ). ოდნობითობა აღნიშნულ ფორმათა განმარტებისას გამოხატულია სათანადო ზმნიზედებით, როგორცაა: ოდნავ, ცოტათი, ძლივს, მცირედ, რამდენადმე და ა.შ.

ოდნობითობა კარგად გამოჩნდა თარგმნით ლექსიკონებშიც; ასე მაგალითად, „შებრუყება“ ქართულ-რუსულ ლექსიკონში ასეა განმარტებული: „*слегка опьянеть*“. *Слегка* ზმნიზედით შე- ზმნისწინის ლექსიკური ნიუანსია გადმოცემული. კვლევის ასეთმა გზამ უთუოდ გაამართლა.

ბოლო წერილში კონკრეტული ფუძეებია შეპირისპირებული ლექსიკური მნიშვნელობით. დაპირისპირებას ქმნიან ზმნისწინები. ზმნისწინებით შეპირისპირებული ფორმების (ჩა-უთვლის ~ შე-უთვლის) გვერდით წარმოდგენილია ლექსიკურად დაპირისპირებული უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები (აქვს ~ მიაქვს). დაპირისპირებათა ზოგადი მექანიზმი ვერ კიდევ გაუხსნელია. იგი წერს: „... თავმოყრილ მაგალითებში ვერ ვიპოვით ორ მაგალითსაც კი, სადაც ერთი და იგივე მექანიზმი მუშაობდეს, ანუ სადაც ერთი და იმავე ზმნისწინების დაპირისპირება იდენტურ შედეგს იძლეოდეს – აქ ყველა შემთხვევა მკვეთრად ინდივიდუალურია და ცალკე აღწერას ითხოვს“ (გვ. 34).

ავტორი დაჟინებით ისწრაფოდა ფიქსირებულ ინდივიდუალურთა მიღმა მოქმედი „ერთი და იმავე მექანიზმის“, ანუ საერთო მოდელის მისაგნებად, მაგრამ აღარ დააცადა ბედისწერამ...

*თ. უთურგაიძე*

*ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი*

## შე-, შემო-, ჩა-, ჩამო-, წა-, წამო- ზმნისწინები სტატიკურ ზმნებთან

სტატიკურ ზმნათა ბუნების კვლევას მეტყველების განვითარების სათავეებთან მივყავართ, უძველესი მდგომარეობის წარმოდგენა კი რომელიმე ენის თანამედროვე ვითარების მიხედვით ძნელია. სხვადასხვა ენის ტიპოლოგიური შედარება შესაძლებელს ხდის გამოავლინოს ადუკვატური სურათი.

გამოკვლევული და შესწავლილია მსოფლიოს ხალხთა ენები — ამერიკის ინდიელთა, ავსტრალიის მცხოვრებთა, ინდონეზიის და აფრიკის ხალხებისა, რომ აღარაფერი ვთქვათ ცივილიზებული სამყაროს უძველესი დამწერლობის ენებზე, რომელთა შესწავლა დაიწყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე. შესწავლის შედეგად მიღებული სურათების შედარებისას გამოვლინდა ბევრი რამ საერთო ენათა სტრუქტურაში. ამავე დროს ნათელი მოუვიწია ზოგ საკითხს, რომელთა კვლევა სხვა ენათა მონაცემების გაუთვალისწინებლად ჩიხში ექცეოდა.

ამდენად, ენის განვითარების პროცესებს თანამედროვე ენათმეცნიერება შემდეგნაირად წარმოიდგენს: თავდაპირველად იყო ამორფული, დაუნაწევრებელი „სიტყვები“, რომლებიც ერთდროულად გამოხატავდნენ როგორც სახელურ, ისე ზმნურ „ცნებებს“. ამ ეტაპზე „სიტყვა“ საკვებით ემთხვეოდა „წინადადებას“, „ენა“ წარმოდგენილი იყო ლექსიკური ერთეულით.

განვითარების შემდგომ საფეხურზე „სიტყვა-წინადადება“ ნაწილობრივ გაიყო: ის, რაც თავდაპირველად გაერთიანებული იყო ერთ „სიტყვაში“, წყვილულად წარმოგვიდგა: ცალკეული საგნების თუნდაც ერთნაირი „მოქმედება“ განსხვავებული ზმნით იყო აღნიშნული. იგივე ითქმის ხმაბაძვით ზმნებზე.

მომდევნო ეტაპად მიჩნეულია საგანთა დაჯგუფება გარკვეული ნიშნის მიხედვით. ახლა ძნელი წარმოსადგენია, რა კრიტერიუმები ელო საფუძვლად საგანთა დაყოფას, ერთი კი ცხადია: ჯგუფები იყო მრავალი, ჯგუფებში შემავალი საგნები — ცოტა. ამ საფეხურს უნდა მოჰყოლოდა ჯგუფების საერთო რაოდენობის შემცირება და ამის შედეგად — თითოეულ ჯგუფში გაერთიანებული საგნების რიცხვის ზრდა. პარალელურად ცვლილებები უნდა მომხდარიყო შესაბამის „ზმნებში“, მაგრამ ეს ცვლილებები ყოველთვის ვერ დაემთხვეოდა საგანთა ბუნებაში წვდომის შედეგად აზროვნებაში მომხდარ ცვლილებებს. აქ, შესაძლოა, ძველი ფორმა ახალი შინაარსით შეივსო, ან

პირიქით — ძველმა შინაარსმა ახალი ფორმა შეიძინა. ერთი სიტყვით, განვითარება ყველა დონეზე პროპორციული არ იქნებოდა.

მომდევნო საფეხურად მიჩნეულია გარემომცველი სამყაროს დაყოფა სულიერად და უსულოდ და, შესაბამისად, „ზმნურ“ ერთეულებში ამ ვითარების ამსახველი ელემენტის შეტანა: აქტიურ ჯგუფში, ცოცხალ არსებათა გარდა, თავისი ადგილი მიეჩინა ყოველივეს, რასაც იმდროინდელი ადამიანი აქტივობას მიაწერდა.

1. თუ საგანსა და მოვლენაში ხედავდა ციკლურ ცვლილებებს, ამას მიიჩნევდა განვითარებად და შესაბამისად თვლიდა აქტიურად.

2. მცენარეები, ხეები დაიყო ნედლისა თუ ზმელის, მსხმოიარობა-უნაყოფობის მიხედვით, ნაყოფი — იმის მიხედვით, იჭმება თუ არა.

3. წყალსატევები: მდინარეა თუ დამდგარი, სასმელია თუ სასმელად გამოუყენებელი.

ამგვარი აქტიურ-ინაქტიურობის თვალსაზრისით გარემოს დაყოფის შედეგად ერთსა და იმავე ჯგუფში აღმოჩნდნენ დღევანდელი თვალსაზრისით სავსებით შეუსაბამო საგნები.

ენის განვითარების ამ ეტაპისათვის უკვე ხდება სახელისა და ზმნის საბოლოოდ გათითობა. მათ აქვთ საერთო ნიშანი — აქტიურობა-ინაქტიურობა, აქტიური სახელი აქტიურ ზმნას ჰგუობს, ინაქტიური — ინაქტიურს.

ამ ვითარების მომდევნო საფეხურზე ენაში ასახულია საგანთა დაყოფა სულიერ და უსულო არსებებად (დღევანდელი ვითარება), რასაც უნდა მოჰყოლოდა დიდი ძვრები. ზმნათა ჯგუფებში: აქტიურისა და პასიურის ნაცვლად დაჯგუფება მოხდა სულიერისა და უსულოს მიხედვით, ოღონდ (არც ამჟერად) პროპორცია დაცული არ ყოფილა. ინაქტიურ ზმნათაგან მრავალი შეეწყო სულიერს, ასევე აქტიური დაუკავშირდა უსულოს.

ქართულ ენაში ამ ცვლილებების კვალს ხედავენ ამჟამად და არც-თუ იშვიათად მსჯელობას ქართულ მასალაზე აგებენ. განსაკუთრებით სტატიკურ ზმნას იშველიებენ.

ამ ეტაპების ერთგვარი გამოძახილი ასახულია როგორც თეორიულ მსჯელობაში (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა), ისე პრაქტიკაში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII ტ.). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში უზმნისწინო სტატიკური ზმნა ბევრად სჭარბობს ზმნისწინიან ფორმებს (და ეს ბუნებრივადაც მიგვანინა).

სტატიკური ზმნური ფუძეები ზმნისწინის დართვისას თემის ნიშნებთან და მათ დაბოლოებებთან მიმართებაში საინტერესო სურათს იძლევა.



### შე-R-ის

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ.

შე-პ-ბზუ-ის - 1. ვისიმე (რისიმე) ახლოს, ირველივ ბზუის (მწერი).

შე-ქნავი-ის - კნავილით შესძახის.

შე-ღმუ-ის - ღმუილით შეპყვირის.

შე-ს-ჭყვი-ის - ჭყვილით შესძახის.

### შემო-R-ის

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ.

შემო-პ-ბზუ-ის - ბზუილით უვლის, უტრიალვს.

შემო-პ-ბლავი-ის - ბლავილით შემოსძახის.

შემო-პ-კივი-ის - კივილით მიმართავს, კივილით შემოსძახის.

შემო-ს-ჩხავი-ის - ჩხავილით შემოსძახის.

### ჩა-R-ის

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ.

ჩა-პ-ბზუ-ის - ბზუილით ჩასძახის.

ჩა-პ-ბლავი-ის - ბლავილით ჩასძახის.

ჩა-ს-ძახ-ის - 1. ქვევით მყოფს ეძახის. 2. ჩაპყვის ყურში.

3. საგანგებოდ ეუბნება, ჩასჩინებს, ეჩინება.

### ჩამო-R-ის

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ.

ჩამო-პ-ბლავი-ის - ბლავილით ჩამოსძახის.

ჩამო-პ-კივი-ის - კივილით ჩამოსძახის.

ჩამო-ს-ჩხავი-ის - ჩხავილით ჩამოსძახის.

ჩამო-ს-ჭყვი-ის - ჭყვილით ჩამოსძახის.

წა-R-ის

წამო-R-ის

შე-R-ავ-ს

შემო-R-ავ-ს

ჩა-R-ავ-ს

ჩამო-R-ავ-ს

წა-R-ავ-ს

წამო-R-ავ-ს

უთემისნიშნო სტატიკური ზმნები შე-, შემო-, ჩა-, ჩამო-, წა-, წამო- ზმნისწინებითა და ხმიანობის სემანტიკით არ დასტურდება.

ბ) ხმიანობა გადაღის მოძრაობაში, გადაადგილებაში:

შე-R-ობ-ს

შემო-R-ობ-ს

წა-R-ობ-ს

წამო-R-ობ-ს

### ჩა'-R-ობ-ს

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ.

ჩა-საუბრ-ობ-ს - 1. საუბრით ჩადის.



### ჩამო-R-ობ-ს

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ.

ჩამო-მდინარე-ობ-ს — 1. ზევიდან ქვევით მომდინარეობს, ჩამოედინება.

### შე-R-ებ-ს

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ.

შე-ზუზუნ-ებ-ს — ზუზუნით შედის, ზუზუნით იჭრება რამეში.

შე-სისინ-ებ-ს — 1. სისინით შედის.

შე-ქიქინ-ებ-ს — ქიქინით შედის, შესრიალებს.

შე-ს-ჩხრიალ-ებ-ს — ჩხრიალით შედის, ჩხრიალით შეედინება.

### შემო-R-ებ-ს

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ.

შემო-გუგუნ-ებ-ს — გუგუნით შემოდის.

შემო-ზუზუნ-ებ-ს — 1. ზუზუნით შემოდის.

შემო-სისინ-ებ-ს — 1. სისინით შემოდის.

### ჩა-R-ებ-ს

### ჩამო-R-ებ-ს

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ.

ჩა-ჩუხჩუხ-ებ-ს — ჩუხჩუხით ჩადის.

ჩამო-დუდუნ-ებ-ს — 1. დუდუნით ჩამოდის.

ჩა-ჩქაფუნ-ებ-ს — ჩქაფუნით ჩადის.

ჩამო-ჩუხჩუხ-ებ-ს — ჩუხჩუხით ჩამოდის.

ჩა-ჩხრიალ-ებ-ს — ჩხრიალით ჩადის.

ჩამო-წკრიალ-ებ-ს — წკრიალით ჩამოდის

### წა-R-ებ-ს

### წამო-R-ებ-ს

### შე-R-ის

### შემო-R-ის

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ.

შემო-პ-ქრ-ის — ქროლევით შემოდის, გარედან შიგნით უბერავს.

### ჩა-R-ის

### ჩამო-R-ის

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ.

ჩა-ტირი-ის — 1. ტრილით ჩადის.

ჩამო-ტირი-ის — 1. ჩამოდის და ტირის.

ჩა-ხუ-ის — ხუილით, ხმაურით ჩადის წყალი.

ჩამო-ქრ-ის — ზევიდან მოქრის.

ჩა-შხუ-ის — შხუილით ჩადის.

ჩამო-შხუ-ის — შხუილით ჩამოდის.

უყოყმისნიშნო ზმნებთან გეხვდება ხმიანობიდან მოძრაობაში გადასვლა.

### ჩა-R-ს

### ჩამო-R-ს

(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ.

ჩა-ჩქეფ-ს — ჩქეფით ჩადის, ჩაჩქრიალებს.

ჩა-ქეს-ს — ქუხილით ჩადის.

ჩამო-ქეს-ს — ქუხილით ჩამოდის.

წა-R-ს	წამო-R-ს	შე-R-ს	შემო-R-ს	შე-R-ა	შემო-R-ა
—	—	—	—	—	—
ჩა-R-ა	ჩამო-R-ა	წა-R-ა	წამო-R-ა		
—	—	—	—		

აღსანიშნავია, ერთი მხრივ, მოძრაობის გამომხატველი ზმნები და, მეორე მხრივ, — ხშიანობისა. ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ გარკვეულ ზმნისწინებთან ბგერადობის გამოხატვა მოძრაობისკენ იხრება. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ სტატიკურ ზმნებში შე-, შემო-, ჩა-, ჩაპო- (წა-, წამო-) ერთგვარად „მეორადი ხმარების“ ზმნისწინებია და უფრო ამხსნელი სიტყვით გამოხატულ მიმართულებაზე მიუთითებს (შედის, შემოდის, ჩადის, ჩამოდის და მისთ.).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დადასტურებული ზმნები და მათი ამხსნელი სიტყვები ყოველთვის სრულყოფილად არაა წარმოდგენილი, რადგან, თუ გვხვდება:

შე-ს-ტიკტიკ-ებს — 1. ტიკტიკით ელაპარაკება, შესტიტინებს.  
 იქვეა \* 2. შე-ტიკტიკ-ებს — ტიკტიკით შედის.  
 ანდა:

შე-ზუზუნ-ებს — 1. ზუზუნით შედის, ზუზუნით იჭრება.  
 იქვეა \* 2. შეკზუზუნებს — ზუზუნით ეტყვის, ელაპარაკება.

ეს გვეკარაუდებინა რამდენიმე ზმნური ფორმის სრულყოფილად წარმოჩენამ. მაგ.:

შე-სისინ-ებს — 1. (მხოლოდ ნაკეთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ. ერთპირ. — სისინით შედის.  
 2. (შესისინა, შეუსისინებია მისთვის) გრდმ. ორპირ. — სისინით ეტყვის, სისინით მიმართავს.

შემო-ზუზუნ-ებს — 1. (მხოლოდ ნაკეთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ. — ზუზუნით შემოდის.  
 2. (შემოზუზუნა, შემოზუზუნებია მისთვის) გრდმ. — ზუზუნით უბერავს, შემოსწივის, შემოზმუის.

შემო-სისინ-ებს — 1. (მხოლოდ ნაკეთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ. — სისინით შემოდის.  
 2. (შემოსისინა, შემოუსისინებია მისთვის). გრდმ. — სისინით მოუმართავს.

ჩა-ლუკლუკ-ებს (მხოლოდ ნაკეთთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ.  
 1. ლუკლუკით ჩაედინება (მდინარე...)  
 2. ლუკლუკით გაეხშიანება.

ჩამო-დუღუნ-ებ-ს (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) გრდუე. სტატ.

1. დუღუნით ჩამოდის.

2. ჩამო-ს-დუღუნ-ებ-ს – დუღუნით ხმადაბლა და გაურკვეველად ელაპარაკება ქვევით მყოფს.

ერთი და იმავე ზმნური ფორმით ორი შინაარსის გადმოცემის ფაქტში არეკლილი უნდა იყოს ოდინდელი აქტიურობა-ინაქტიურობის კვალი.

## ოდნაობითობის გამოხატვა ქართულ ზმნაში

ზმნისწინი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მთელ მანძილზე ემსახურება ზმნაში თუ ნაზმნარ სახელებში ამა თუ იმ ნიუანსის გადმოცემას. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი გრამატიკოსები თანდათანობით ამახვილებდნენ ყურადღებას ზმნისწინებზე და აკლენდნენ იმ შესაძლებლობებსა და განსხვავებებს, რასაც ზმნისწინის დართვა-დაურთველობა ანიჭებს ზმნას.

ზმნისწინებით გადმოცემულ მნიშვნელობათაგან ძირითადად მიჩნეულია ზმნით გამოხატული მოქმედების გეზისა და ორიენტაციის (მიმართულების) აღნიშნვა ქართული ენის განვითარების მთელ მანძილზე, რასაც გვიან ქართულში ემატება მოქმედების სახის ანუ ასპექტის გამოხატვა. ზოგჯერ ყოველივე ეს დაჩრდილულია და წინ წამოწეულია ოდნაობა.

ტერმინები „ოდნაობითი“, „ოდნაობითობა“ მიღებულია „ოდნავ“ ზმნისხედის სათანადო გაფორმებით: ოდნავ – ოდნავ(ვ)-ობ-ა – ოდნა(ვ)-ობ-ით, ოდნა(ვ)-ობ-ით-ი, ოდნა(ვ)-ობ-ით-ობ-ა. ოდნავ – ცოტათი, მცირედ, ძლივს (ქველ).

მკვლევართა უმრავლესობა მოქმედების სიმცირის, სიცოტავის, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ოდნაობის გამომხატველად მიიჩნევს მო-, შე-, წა-, შემო-, წამო- ზმნისწინებს, რომელთაც ჩვენც განვიხილავთ და ვუმატებთ ჩა-სა და ჩამო-ს.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებისას მითითებულია, რომ ზმნის ესა თუ ის ფორმა გადმოსცემს ოდნაობითობას, რომელთა განმარტება ზმნისართებითაა გაფორმებული. ცალკე აღებულ სიტყვას უმეტესად მკვეთრად გამოკვეთილი, სტილისტიკურად ნეიტრალური მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ სამეტყველო სიტუაციაში ელინდება მისი ფაქულტატიური ფუნქცია. ამიტომაცაა, რომ ლექსიკონებში იშვიათადაა მითითებული ოდნაობითობა, როგორც ცალკე არსებული ფუნქცია.

ოდნაობის გამომხატველი ზმნისწინიანი ფორმების (ამჟამად შე-, შემო-, წა-, წამო-, ჩა-, ჩამო- გვაქვს მხედველობაში) განმარტებებში მოშველიებულია შემდეგი ზმნიზედები: ოდნავ; ცოტა; ცოტათი; ცოტაოდენი; მცირე; მცირედ; ოდნავ, მცირედ; ოდნავ, ცოტა; ოდნავ, ცოტათი; მცირედ, ოდნავ; ნელ-ნელა; რამდენადმე; სახელდახელოდ; აქა-იქ, ზოგან; ზერელედ; ზედაპირულად; ნაწილობრივ; თხლად; თანდათანაობით; ძლივ-ძლივობით; ძლივს.

ხსენებული ზმნიზედები წინ უძღვის იმავე ძირის ზმნებს, რომლებიც გაფორმებულია ხან მო- ზმნისწინით, ხან კი - ნეიტრალური ზმნისწინებით:

$\text{შე-} \sim \left\{ \begin{array}{l} \text{და-} \\ \text{გა-} \end{array} \right\};$	$\text{წა-} \sim \left\{ \begin{array}{l} \text{და-} \\ \text{გა-} \\ \text{მო-} \end{array} \right\};$	$\text{ჩა-} \sim \text{გა-}$
-----		
$\text{შემო-} \sim \left\{ \begin{array}{l} \text{გამო-} \\ \text{და-} \\ \text{გა-} \end{array} \right\};$	$\text{წამო-} \sim \left\{ \begin{array}{l} \text{მო-} \\ \text{Ø-} \end{array} \right\};$	$\text{ჩამო-} \sim \text{წა-}$

განმარტებაში მოშველიებულია აგრეთვე ზმნები: დაიწყებს, მოაკლდება; დაცოტავდება; დაპატარავდება; მისცემს; მოახლოვდება; დადგომა; დატყობა, შესვლა - გახაზულია პროცესის დაწყების თუ შენელების ელფერი.

უნდა შევნიშნოთ, რომ განმარტებები არ ტოვებს ნამდლადობის შთაბეჭდილებას: საუბარში, წერის დროს ჩვეულებრივ იხმარება და განსამარტავე სიტყვის გავრცობილ ვარიანტად წარმოგვიდგება.

### 1. ზმნიზედა ოდნავ:

შე:	წა:
<p>შე-ალხობს /R<sup>1</sup> - ოდნავ გაალხობს                  შე- ~ გა-</p> <p>შე-აპატარავებს " დაპატარავებს                  შე- და-</p>	<p>წა-თუთქავს - ოდნავ მოუთუთქავს                  წა- ~ მო-</p> <p>წა-იკეთებს - " გამოისწორებს,                  გამოიკეთებს (საქმეს, მდგომარეობას)                  წა- ~ გამო</p>

<sup>1</sup> R-ს დართვით აღვნიშნავთ, რომ ფუძე თვითონ შეიცავს ოდნაობითობის, სიმცირის, ზერელობის გაგებას.

შეაწითლებს “ გააწითლებს

შეაღებს... “ გააღებს

შეაზღვრება /R/ “ დააზღვრება

შეაბინდლებს /R/ “ დააბინდლებს

შეაგებებს “ გააგებებს, შეუსივლებს

შეაენძრება – ოდნავ გაენძრება;

შეაერხება

შეაიბერება “ გააიბერება, შესივლებს

შეაიძებნება “ დაიძებნება

შეაღება /R/ “ დააღება, შერბილდება

შეაღსვება – ოდნავ გაღსება

შეაირიყრაყებს “ შერიყრაყდება

შეაულბება “ დაულბება

ა) ოდნავ, მცირედ

შეაითბობს – ოდნავ, მცირედ

გაათბობს

შეაიხრება “ მოილუნება

შეაუთბობს “ გაუთბობს

შეაუთბება “ გაუთბება

ბ) ოდნავ, ცოტათი

შეამღვრებს – ოდნავ მღვრიეს გახდის, ცოტათი ამღვრებს

შეააცახცახებს – ოდნავ ააცახცახებს, ცოტათი გააცახცახებს

წაინამება “ დაინამება  
წატრუსავს “ მოტრუსავს  
1. წა- მო-

წაიტრუსება “ რაც წაიტრუსება,  
დაიწვება, მოიწვება  
წა- და- მო-  
წა-სჩხვლელტს – ოდნავ უჩხვლელტს  
წა- ღ-

წა-უთათუნებს /R/ “ შეახებს (თათს),  
მოუთათუნებს  
წა- შე- მო-  
წა-უცაცუნებს /R/ “ წამოარტყამს  
წა- წამო-

- შე-ამბარებს - ოდნავ, ცოტათი დაამბარებს  
შე-- და-
- შე-სრესს - გასრესს, ცოტათი მოსრესს  
შე-- გა-- მო-
- გ) ოდნავ, ცოტა
- შე-ატკობს - 1. ოდნავ დაატკობს, ცოტა სიტკობს მისცემს  
შე-- და-
- შე-აძველებს - ოდნავ მოაძველებს, ცოტა დააძველებს  
შე-- მო-- და-
- შე-იხუჭუჭებს - ოდნავ, ცოტა დაიხუჭუჭებს, დაიხუჭებს  
შე-- და-
- დ) ოდნავ, ნაწილობრივ: ნაწილობრივ, ოდნავ:
- შე-ასველებს - ნაწილობრივ, ოდნავ დაასველებს  
შე-- და-
- შე-არღვევს - ოდნავ, ნაწილობრივ გაარღვევს  
შე-- გა--
- ე) ზედაპირის ოდნავ:  
წა-ბიცება - ზედაპირის ოდნავ გახშობა, წახშობა  
წა-- გა-

## 2. ზმნიზელა ცოტა:

- შე-იგვიანებს - ცოტა დაიგვიანებს, წა-ამატებს - ცოტას მოუმატებს,  
შეყოვნდება დაუმატებს
- შე-უგვიანდება - ცოტა დაუგვიანდება, წა-იგუნდავებს " წა-- მო; და-  
დაუხანდება, იგუნდავებს " იგუნდავებს  
დაუყოვნდება წა-- Ø-
- შე-უგვიანებს - ცოტა დაუგვიანებს, წა-ივარჯიშებს " ივარჯიშებს  
დაუყოვნებს წა-- Ø-
- წა-იზარმაცებს " იზარმაცებს  
წა-- Ø-
- წა-ითავხედებს - ცოტა არ იყოს, თავხედია წა-- Ø-
- წა-იპურმარილებს - ცოტა პურ-მარილს მიიღებს
- წა-შეის " მი-  
" მოშეის  
წა-- მო-

წა-უმატებს “ დაუმატებს,  
 წაამატებს, მისას, მისთვის  
 წა--და-  
 წა-უტებს - 1. ზევიდან მოტებს,  
 ცოტას მოუტებს წა--მო-  
 2. წა-ს-ტებს - ცოტას  
 მოსტებს, წატებს წა--მო-

ა) ცოტა, ოდნავ

შე-აჭკნობს - ცოტად, ოდნავ დააჭკნობს

შე--და-

ბ) ცოტა ხანს

შე-ასვენებს - ცოტა ხნით დაასვენებს

შე--და-

შე-აქაქანებს - ცოტა ხნით დაასვენებს

შე--და-

შე-იარა - გავლით შევიდა, მივიდა

შე--მი-

შე-ითამაშებს - 1. ითამაშებს, გაითამაშებს,  
 წაითამაშებს

შე--გა-, წა-

შე-იქაქანებს - ცოტა ხნით შეისვენებს

შე-იყდის

“

მოიცდის

შე--მო-

შე-უვლის

“

შევა მასთან, გაუვლის

შე--გა-

გ) ცოტა ხნით

შე-ასვენებს - ცოტა ხნით დაასვენებს, მცირე ხნით  
 შესვენების საშუალებას მისცემს

შე--და-, შე-

წა-ითამაშებს - ცოტა ხნით  
 (ცოტათი) ითამაშებს

წა--მ-

წა-ითვლემს /R/

წასთვლემს.

წაიძინებს

ჩა-სთვლემს /R/

წა-იძინებს

დაიძინებს,

ჩაიძინებს, მიიძინებს

წა--და--ჩა--მი-

წა-ეძინება

ძილი მოუვა,

ძილი მოერევა

წა--მო-

დ) ცოტა, ცოტა ხანს

წა-იტირებს -

ცოტას, ცოტა  
ხანს იტირებს

წა-- Ø-

ე) ცოტას, სახელდახელოდ

წა-იჭამს - 2.

ცოტას, შენაყრდება  
სახელდახელოდ  
შეჭამს,

წა-- შე-

ვ) ცოტა, ერთხანს:

წა-იავადმყოფებს -

ცოტას, ერთხანს  
იავადმყოფებს

წა-- Ø-

წა-იმეცადინებს -

ცოტას, ერთხანს  
იმეცადინებს

წა-- Ø-

წა-იმუშავენს -

ცოტას, ერთხანს  
იმუშავენს

წა-- Ø-

წა-ისაუბრებს -

ცოტას ისაუბრებს,  
ერთხანს ისაუბრებს

წა-- Ø-

ზ) თავისთვის, ცოტა ხანს:

წა-იმღერებს - 1.

თავისთვის, ცოტა ხანს  
იმღერებს

წა-- Ø-

წა-იმღერს - 1.

თავისთვის, ცოტა ხანს  
იმღერებს

წა-- Ø-

თ) ერთხანს, ცოტას:

წა-ინადირებს -

ერთხანს, ცოტას  
ინადირებს

წა-- Ø-

ი) ცოტაოდენს:

შე-ანაყრებს - ცოტაოდენს შეაჭმევს, დაანაყრებს  
შე-- და-

წა-ტეხა - ცოტაოდენი  
მოტეხა, ზემოდან  
გადატეხა

წა-- მო-; გადა-





შე-აფრთხობს	“	დაფრთხობს,	წა-ურწევს	“	დაურწევს
შე-აკრობს					წა-- და-
შე-აბება	“	შე-- და- გაბება	წა-უჩინხილებს	“	შეუჩინხილებს,
		შე-- გა-	წაჩხრეკით ცეცხლს		გააჩხრეკებს
შე-აოვრება	“	დათვრება,	წა-უხახუნებს	“	გაუხახუნებს
შექეფიანდება					წა-- გა-
შე-ააფლება	“	შე-- და- გააფლება,	წა-წითლდება	“	გაწითლდება,
უასი ცოტა დააკლდება			შეწითლდება		
შე-იმღვრევა	“	შე-- გა- და- აიმღვრევა	წა-პარსავს	“	წა-- გა-; შე- მოპარსავს
		შე-- ა-			წა-- მო-
შე-ამაგრდება - 1.	“	გამაგრდება			
		შე-- გა-			
შე-მეკრივდება	“	ცოტათი			
გამეკრივდება					
შე-მუქდება	“	შე-- გა- გამუქდება			
		შე-- გა-			
შე-მძაღდება	“	შემძაღდება,			
სიმძაღლე შეეპარება					
შე-მწარდება	“	შე-- და- გამწარდება			
		შე-- გა-			
შე-მწვანდება	“	გამწვანდება			
		შე-- გა-			
შე-მწიფდება	“	დამწიფდება			
		შე-- და-			
შე-მხიარულდება	“	გამხიარულდება			
		შე-- გა-			
შე-ობდება	“	დაობდება			
		შე-- და-			
შე-უთეთრდება	“	გაუთეთრდება			
		შე-- გა-			
შე-უნეღდება /R/	“	გაუნეღდება			
		შე-- გა-			
შე-უნესტიანდება	“	დაუნესტიანდება,			
შე-უსველდება	“	დაუსველდება			
		შე-- და-			

ა) ცოტათი ოდნავ:

შე-გრილდება /R/ ცოტათი გრილი  
გახდება, ოდნავ გაგრილდება

შე- გა-

ბ) ცოტათი, ერთხანს

წა-ზელს ცოტათი, ერთხანს ზელს

წა- ღ-

გ) ცოტათი, რამდენადმე და რამდენადმე ცოტათი:

შე-იაფება - ცოტათი, რამდენადმე  
გაიაფება

შე- გა-

შე-უბოხდება - რამდენადმე ბოხი  
გაუხდება. ცოტათი გაუბოხდება

შე- გა-

შე-უნესტიანდება “ დაუნესტიანდება  
შე-უსველდება “ დაუსველდება

შე- ღა-

დ) ცოტ-ცოტას:

შე-კოკის /R/ ცოტ-ცოტას,  
წერილ-წერილად შეჭამს

შე- ღ-

შე-კუკის /R/ ცოტ-ცოტას შეჭამს

შე- ღ-

შე-სუსნის /R/ სუსნით ცოტ-ცოტას,  
(ჩუმ-ჩუმად) შეჭამს

შე- ღ-

#### 4. ზმნიზელა მცირედ

შე-	წა-
შე-ანძრევს - მცირედ გაანძრევს, შეარხევს, შეატოკებს, შეაქანებს	წა-აძოვებს - მცირედ მოაძოვებს წა- მო-
შე-აყვითლებს “ გააყვითლებს, მოყვითალო ფერს დასდებს	წა-უნშარება “ დაუნშარება, წაეშველება
შე-ბერტყავს “ აბერტყავს	წა-კენკავს “ წა- და- აკენკავს
შე-თილავს “ მოთილავს	წა-ულიტინებს “ წა- ა- შეულიტინებს
	წა- შე-



## 7. ზერელედ, ზედაპირზე

შე-აცლის - ზედაპირზე (მცირე)  
ნაწილს მოაშორებს

შე-- მო-  
შე-ბარავს - ზერელედ დაბარავს,  
ბარით აოშავს

შე-- და-

## 8. სახელდახელოდ:

წა-აბალახებს - სახელდახელოდ  
აბალახებს

წა-- Ø-  
წა-ოსაუზმებს // ისაუზმებს,  
წაიხემსებს

წა-- Ø-  
წა-ენასავს // შეჭამს, კბილს გაკერავს  
წა-- შე-; გა-  
წა-უნთებს // შეუნთებს, წაუკიდებს  
წა-- შე-

### ა) სახელდახელოდ, ცოტაოდენს:

წა-ცუცნის /R/ სახელდახელოდ  
წაისაუზმებს, ცოტაოდენს შეჭამს  
წა-- შე-

## 9. აქა-იქ

შე-ძეჩხერება /R/ - აქა-იქ  
გაძეჩხერება

შე-- გა-

წა-კრეფს - აქა-იქ მოკრეფს  
წა-- მო-

წა-კრიფა - აქა-იქ მოკრიფა  
წა-- მო-

### ა) აქა-იქ ოდნავ:

შე-აჭრელებს - აქა-იქ,  
ოდნავ ააჭრელებს  
შე-- ა-

## 10. ხანდახან და ცოტ-ცოტა

წა-კერა - ხანდახან და ცოტ-ცოტა  
მუშაობა

წა-- Ø-

## 11. პატარა:

წა-იქეიფებს - პატარა ქეიფს  
გასწევს

წა-- გა-

წა-ემტვრევა - 1. პატარა ნაწილი  
მოსტყდება

წა-- მო-

წა-აჭრის - იხ. ნაწილს მოჭრის,

წა-სჭრის - 1. წაჭრის

წა-- მო-

## 12. თანდათანობით, ძლივ-ძლივობით, ძლივს:

შე-ათლის /R/ თხლად, ცოტას  
ათლის

შე-- ა-

შე-ეთლება /R/ " მოეთლება

შე-- მო-

შე-ითლება /R/ " მოითლება

შე-- მო-

შე-უთლის /R/ - ცოტას მოუთლის,  
მოუჭრის.

შე-- მო-

## 13. თანდათანობით, ძლივ-ძლივობით, ძლივს:

შე-აშრობს - მშრალს გახდის,  
თანდათანობით გააშრობს

შე-- გა-

შე-ატევეს - ძლივძლივობით შედებს,  
შეიტანს, მოათავსებს, რამეში დატევეს

შე-- მო-

შე-პოტინდება /R/ - ძლივს ავა,  
აბობდება, აცოცდება

შე-- ა-

განვიხილოთ მოშველიებული ზმნებით ზმნისწინიანი ფორმების  
განმარტებანი:

### 1. ზმნა დაიწყებს

შე-აყოყმანებს /R/ - ყოყმანს დააწყებინებს, შეაჭოჭმანებს

შე-- და-

შე-აჭოჭმანებს /R/ - ჭოჭმანს დააწყებინებს, შეაყოფმანებს, დააეჭვებს  
 შე-ბარბაცდება /R/ - ბარბაცს დაიწყებს, წაბარბაცდება  
 შე-დნება /R/ - დნობას დაიწყებს, ოდნავ გადნება  
 შე-ზრიალდება - ზრიალს დაიწყებს, შეზანზარდება  
 შე-თვალდება /R/ - სიშწიფეს დაიწყებს  
 შე-უღარუნდება /R/ - უღარუნს დაიწყებს  
 შე-ტორტმანდება /R/ - ტორტმანს დაიწყებს

შე-- და-  
 შე-- და-;  
 შე-- და-;  
 შე-- და-  
 შე-- და-  
 შე-- და-  
 შე-- და-

## 2. ზმნა მოაკლდება:

შე-ანელებს /R/ - 1. სიჩქარეს, სისწრაფეს მოუკლებს, შეამცირებს, შეასუსტებს, გაანელებს  
 შე-თხელდება /R/ - 1. სისქე მოაკლდება; 2. სიხშირე მოაკლდება, გაიშვიათდება, გამეჩხერდება, შეცოტავდება; 3. სიღრმე მოაკლდება  
 შე-ნელდება /R/ - სიჩქარე მოაკლდება, ნელ სვლას დაიწყებს  
 შე-უთხელდება /R/ - 1. სისქე მოაკლდება მასას, ოდნავ გაუთხელდება

შე-- მო-; გა-  
 შე-- მო-; გა-  
 შე-- მო-; და-  
 შე-- გა-; და-

## 3. ოდნავ დაცოტავდება:

შე-მცირდება /R/ - უფრო მცირე გახდება, დაცოტავდება, შეცოტავდება  
 შე-პატარავდება /R/ - ოდნავ დაპატარავდება, შემცირდება

შე-- გა-; და-  
 შე-- და-

## 4. მიცემა:

შე-ტკობა - სიტკობის მიცემა, ოდნავ დატკობა

შე-- და-

## 5. მოახლოება, დასაწყისის დადგომა; წამოიწყებს

შე-იმღერებს - სიმღერას წამოიწყებს  
 შე-ზამთრება - ზამთრის მოახლოება, ზამთრის პირის დადგომა

## 6. დატყობა, შესვლა

შე-ბერდება - სიბერეში შევა, ხანდაზმულობა დაეცემა - მობერდება  
შე-მწუხრება - მწუხრის დადგომა, შებინდება, დაღამება

შე- ზმნისწინის ერთი თავისებურებაც შეინიშნება რამდენიმე ზმნის განმარტებაში: თავდაპირველად ლაპარაკია მოქმედების გაძლიერებაზე, პარალელურად - შემცირებაზე, აქ ინტენსივობა-ოდნაობითობა ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული.

შე-ამძიმებს - 1. სიმძიმეს მოუმატებს, ცოტათი დაამძიმებს  
შე- მო-; და-

შე-ასქელებს - სისქეს მოუმატებს, ცოტათი გაასქელებს  
შე- მო-; ბ-

შე-ახურებს - სიმხურვალეს მოუმატებს, ცოტათი გაახურებს  
შე- მო-; გა-

შე-მძიმდება - 1. უფრო დაამძიმდება  
შე- და-

შე-რბილდება - ოდნავ დარბილდება, სირბილე შეემატება  
შე- და-

შე-სქელებს - მოსქო გახდება, სისქე შეემატება  
შე- გა-

შე-უმსუბუქებს - 1. უფრო მსუბუქს გახდის, გაუმჯობესებს, გაუმსუბუქებს  
შე- გა-

ასეთივე სურათია წა- ზმნისწინთან:

წა-ემატება - გარკვეულ რაოდენობას ცოტა მიემატება, დაემატება  
წა- მო-; და-

ზმნისწინებით ოდნაობითობის გამოხატვა გარკვეულ, შეზღუდული რაოდენობის ფუძეებს შეუძლიათ. მათგან ზოგიერთი თვითონ შეიცავს სიმცირის, ოდნაობის ელფერს (შესუსნის, შესუსტდება, შემცირდება, დაცუცნის, წაკნასავს, წაამტერებს).

ზმნისწინებით ოდნაობითობის გამოხატვა ხდება ძირითადად მყოფადისა და ნამყოფს მწკრივებში; აწყო ჩვეულებრივ არ იწარმოება გასაგები მიზეზის გამო: ზმნისწინი დროს ცვლის; შე- ზმნისწინიანი რამდენიმე მედიუმი გვაქვს: შესციცინებს, შეჰლიმის და ა.შ., სადაც ზმნისწინი დროს ვერ ცვლის.

როგორც ცნობილია, ობ- თემისნიშნიანი საშუალო გვარის ზმნები უმთავრესად ნასახელარია. ისინი დაირთავენ მხოლოდ წა- ზმნისწინს, რითაც გამოიხატება ოდნაობითობა.



აწმყო  
 ამაყობს  
 ამპარტაენობს  
 ანჩხლობს  
 არშიყობს  
 ბაასობს  
 ბურთაობს  
 გორაობს  
 გუნდაობს  
 დარაჯობს  
 ეშმაკობს  
 ეჭვობს  
 ვაჭრობს  
 ვანშმობს  
 ზოზინობს  
 თევზაობს  
 კოჭაობს  
 კოჭლობს  
 მათხოვრობს  
 მაჭანკლობს  
 კ-მეგობრობს  
 შეფობს  
 კ-მოყვრობს  
 კ-მფარველობს  
 ნებივრობს  
 ომობს  
 ოხუნჯობს  
 კ-პატრონობს  
 პოეტობს  
 სულელლობს  
 ქეიფობს  
 ცელქობს  
 ციგაობს  
 ჭირვეულობს  
 ჭორაობს  
 ხმაურობს  
 ხუძრობს

წა-ი + R -ებ-ს (მაგ., წაიარშიყებს და სხვ.)

ის გარემოება, რომ მხოლოდ ერთ ზმინისწინს (წა-) ჰგუობენ ეს ზმინები, მიუთითებს, რომ მათში მიმართულების - გეზისა და ორიენტაციის - ძებნა, ანდა ასპექტისა, უნდა გამოვრიცხოთ. გვერდიგვერდ დგანან ნეიტრალური და ოდნაობითობის ელფერის მქონე ფორმები; წა- ზმინისწინი ამ შემთხვევაში წარმოგვიდგება სიტყვაწარმოებით ელემენტად.

-ობ თემისნიშნიან ზმნათაგან ზოგიერთთან არ დასტურდება ზემოხსენებული წა- ზმინისწინი პრაქტიკულად, პარადიგმატულად, მაგრამ ყოველტატიურად (მოსალოდნელობის თვალსაზრისით) გამორიცხული არაა.

ერთულ ზმინისწინებსაც შეუძლიათ გამოხატონ მოქმედების სიმცირე, სიცოტავე, ოდნაობა. როგორც ცნობილია, შემო- ზმინისწინის ძირითადი ფუნქციაა ირგვლივ, გარშემო მოძრაობის მითითება, მაგრამ მოქმედების ოდნაობა აქაც შემოჭრილია და მეორეულ ფუნქციას განეკუთვნება, რაც განვითარებულია ძირითადი ფუნქციისაგან.

წამო- ზმინისწინზე არაა მითითებული ეს ფუნქცია. უნდა ითქვას, რომ წამო- ზმინისწინსაც შეუძლია მოქმედების სიმცირის, ოდნაობის გამოხატვა, რაც გარკვეულ ზმნებში გვხვდება და განმარტებულია ოდნაობის აღმნიშვნელი ზმნიზედებით.

შემო-, წამო- ზმინისწინები გაფორმებულია განმარტებაში სწორედ იმ ზმნიზედებით, რომლებიც შე-, წა- ზმინისწინებთან შეგვხვდა, კერძოდ, ზმნიზედები: ოდნავ; ცოტა; ცოტა ხანს; ცოტათი; მცირედ; პატარ-პატარა; ძლივ-ძლივ; წვეთ-წვეთად

### 1. ოდნავ

შე-მოებერება - ოდნავ გაებერება წამო-წინწკლავს ოდნავ იწვიმებს, წამოთინულავს, წამო- -

შემო-სერავს - მჭრელი იარაღით გარშემო ოდნავ გაჭრის (კანს, ტყავს, ქერქს, ხორცს), გარშემო დასერავს, დაშაშრავს

შემო-პერავს - 2. ოდნავ გაუბერავს, გაბერავს, შემო- - გა -

## 2. ცოტა

წამოიწვიმებს - იგივეა, რაც წამოწვიმს, მაგ.: რაკი რომ ცოტას წამოიწვიმებს, ხეები, ფშები და ლელეები ადიდებიან, აღელდებიან (რ. ერისთავის თარგმანი).

შენიშვნა: ოდნაობის გაგება განმარტებაში მითითებული არაა, ილუსტრაციაში კი ასეა: ამ ნიუნსის შემცველობა, რაც ხაზგასმულია ზმნიზედით: ცოტას წამოიწვიმებს.

## 3. ცოტა ხანს (ხნით)

შემო-იარა -	2. ცოტა ხნით, გამოვლით შემოვიდა	წამო-აღულებს -	ცოტა ხანს აღულებს
	შემო- გამო-	წამო-იტირებს -	ატირდება, ცოტა ხანს იტირებს
შემო-უვლის -	2. გავლით ვინმესთან შემოვა ცოტა ხნით	წამო-უინუღავს /R/	“ წერილად წამოწვიმს
	შემო- გა-	წამო-წვება	“ გაუხდელად მიწვება წამო- მი-

## 4. ცოტათი:

წამო-აცხელებს - 1.	ცოტათი გააცხელებს
წამო-ახურებს -	წამო- გა- ცოტათი გაახურებს, შეახურებს
წამო-ზრდა	წამო- გა-, შე- “ გაზრდა
წამო-იზრდება	წამო- გა- “ გაიზრდება
წამო-იღრუბლება	წამო- გა- “ მოიღრუბლება
წამო-სტკივდება	წამო- მო- “ ასტკივდება წამო- ა-

## 5. მცირედ

წამო-ახმარებს -	მცირედ მოახმარებს, წამოაშველებს წამო-- მო-
წამო-შხეფს /R/ -	მცირედ წამოწვიმს წამო-- Ø-
წამო-ყინულავს /R/ -	მცირედ წამოწვიმს, წამოშხეფს წამო-- Ø-
წამო-სივლება -	შესივლება, დასივლება წამო-- შე-, და-

## 6. პატარ-პატარა:

შემო-სციცქნის /R/ - ირგველივ ციცქნა-ციცქნით მოაცლის,  
პატარ-პატარა ნამცეცებს მოატუნს  
შემო-- მო-

## 7. ძლივ-ძლივ:

წამო-იხრანტალებს - ხრანტალით,  
ძლივ-ძლივ  
ამოთქვამს

## 8. წვეთ-წვეთად

წამო-ყონავს /R/ - ჟონვით,  
წვეთ-წვეთად  
წამოვა სითხე

ჩა- ზმნისწინზე მითითებულია, რომ ის აღნიშნავს მიმართულებას ზევდან ქვევით და შიგნივ; აგრეთვე ზმნის უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად და აწმყოს ფორმას აძლევს მყოფადის მნიშვნელობას, ხოლო ჩამო- რთული ზმნისწინი ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას ზევდან ქვევით. მაგრამ ჩა-, ჩამო- ზმნისწინს შეუძლია გადმოსცეს მოქმედების სიმცირე, ოდნაობა, რაც არაა მითითებული ლექსიკონებში სათანადო ზმნისწინებთან; ქვეგლ-ის განმარტებებში დაუადასტურეთ ოდნაობითობის გამოხატვის რამდენიმე ჩა- ზმნისწინიანი მაგალითი, გაფორმებული სწორედ იმ ზმნიზედით, რომლებიც შე-, შემო-; წა-, წამო- ზმნისწინებთან შეგვხვდა. ესენია: ოდნავ, მცირედ, წვეთ-წვეთად.

# 1. ზმნიზელა ოღნავ:

ჩა-ელიძება -	ჩა- ლიძილი გაუელის სახეზე; ოღნავ, თავისთვის გაელიძება	ჩამო-ჰგავს -	ჩამო- ოღნავ ჰგავს, წააგავს ჩამო- წა-
	ჩა- გა-		

# 2. მცირედ:

ჩა-ჩეჩქავს /R/ - 1.	ჩეჩქავს რამეში, მცირედ ჩანაყავს, ჩაბეგავს	ჩა- Ø-
---------------------	---	--------

# 3. წვეთ-წვეთად:

ჩა-ეწვეთება -	წვეთობით, წვეთ- წვეთად ჩავსხმება	ჩა- Ø-
ჩა-იწვეთებს -	წვეთებს თავისაში წვეთ-წვეთად, წვეთობით ჩავსხამს	ჩა- Ø-

ჩა-, ჩამო- ზმნისწინებით გაფორმებული ზოგიერთი ფუძე ოღნაობითობის შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა ამას ქველ-ი განმარტებაში საგანგებოდ არ მიუთითებს.

ჩა-იმღერებს - იმღერებს თავისთვის, წაიმღერებს, ჩაილიღინებს.

ჩა-იციინებს - თავისთვის, ჩუმაღ გაიციინებს.

ჩა-იძინებს - იგივეა, რაც დაიძინებს.

შენიშნა: წაიძინებს - მცირე ხნით დაიძინებს; მიძინებაა მითითებული.

ჩა-იფხუკუნებს /R/ - ფხუკუნით ჩაიციინებს, ჩაიფრუტუნებს.

ჩა-ეცრიცება /R/ - ფერმკრთალი გახდება, გაუფიორდება.

ჩა-უნელდება /R/ - ჩანელდება ზმნისა - ჩანელდება მისი, გაუნელდება.

ჩამო-იკლებს /R/ - (ჩამოაკლებს) - დაიკლებს, შეიმცირებს.

ჩამო-ეკაწრება /R/ - დაეკაწრება, დაეფხაჭნება.

ჩამო-იჩხავლებს - ჩხავილით ჩამოიძახებს.

ჩამო-იღვრება - მოიწყენს, მოიღუშება.

ჩამო-უყვინთება /R/ - ძილი მოერევა.

ჩამო-ეძონძება - ჩამოიძონძება მისი, ძონძებად ჩამოეხვევა.

ჩამო-ქლიბავს - 1. ქლიბით ჩამოასწორებს, 2. ჩამოქლიბავს - ქლიბით

ჩამოაცილებს.

ჩამო-წანწკარებს /R/ - წანწკარით ჩამოღის, ჩამოღინება.

ამრიგად, შეგვიძლია ჩა-, ჩამო- ზმნისწინებსაც ზოგ შემთხვევაში მივცეთ ოდნობითობის გაგების ფუნქცია. შეიძლება იმ ოდნობით არა, როგორც შე-, შემო-, ჩა-, წამო- ზმნისწინებს, მაგრამ მანც არ უნდა უარვეყოთ მათი ეს შინაარსობრივი დატვირთვა.

ამ ფორმებში მოქმედების სიმცირის გამოხატვა ერთდროულად აკისრია ზმნის ფუძესაც და ზმნისწინსაც, ისინი თითქოს ერთმანეთს ეძებენ, ერთმანეთს ვერ გაჰქცევიან, ერთობლივად გამოხატავენ ოდნობითობას.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის ოდნობითობა მკვიდრადაა დაფუძნებული ზმნის ფორმებში. უნდა დავსძინოთ, რომ ზმნისწინებით ოდნობითობის გამოხატვა გაცილებით მეტ რიცხვს მოიცავს, ვიდრე ეს ამ ლექსიკონის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ.

ზმნისწინები ოდნობითობის გამოხატვისას ძირითად მნიშვნელობას მხოლოდ სტილისტიკურ ელფერს სძენს, ოდნავაც არ იცვლება მისი ძირითადი მიმართება საგანთან თუ მოვლენასთან.

ახლადამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები, ე.წ. ნეოლოგიზმებიც, შესანიშნავად ჰკულობს ამ ნიუანსს – წაიბიზნესმენებს, წაიბორძიკებს...

ზოგიერთი საჩოთირო სიტყვა ლექსიკონში შეტანილი არაა, შესაბამისად არ იპოვება ოდნობითი ფორმა, არადა გავრცელებულია: წაიდებილებს, წაიმაიმუნებს, წაისულელებს...

ზმნისწინით ოდნობის გამოხატვის ზოგადი პრინციპებიდან გადახვევის რაიმე შემთხვევა არ დავგვიდასტურებია, ოღონდ ოდნობითობა გამოვლინდა იქ, სადაც ეს არ იყო მითითებული; ამასთანავე აშკარა გახდა, რომ ამ ნიუანსს ხშირად გამოხატავს ზმნის ფუძე (| ძირი) და ამგვარი ფუძეები იოლად ჰკულობს ზმნისწინსაც იმავე მნიშვნელობით.

ისიც ცხადი გახდა, რომ სამეტყველო სიტუაციის მიხედვით გაცილებით ვრცელია ოდნობითობის გამოხატვის არე, ვიდრე ეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია დადასტურებული.

## ქართული ზმნის ოდნაობითობის გადმოცემა თარგმნით ქართულ-რუსული ლექსიკონების მიხედვით

ცალკე აღებულ სიტყვას უმეტესად მკვეთრად გამოკვეთილი, სტილისტიკურად ნეიტრალური მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ სამეტყველო სიტუაციაში ვლინდება მისი ფაკულტატიური ფუნქცია. ამიტომაცაა, რომ ლექსიკონებში იშვიათადაა მითითებული ოდნაობითობა, როგორც ცალკე არსებული ფუნქცია.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ზმნა წარმოდგენილია ფართოდ — პირიანი ფორმა ზმნისწინებითურთ. ზმნისწინის ძირითადი ფუნქციის — გეზისა და ორიენტაციის — აღნიშვნის გარდა, სათანადო ადგილას მითითებულია ოდნაობითობაც. მოქმედების სიმცირის, ოდნაობის გამომხატველი ზმნების განმარტება გარკვეულ წესს ემორჩილება. შეპირისპირებულია სათანადო ნეიტრალურ ფორმასთან, მოშველიებულია ზმნიზედები: ოდნავ, ცოტა, ცოტათი, ცოტაოდენი; ნელ-ნელა; რამდენადმე; სახელდახელოდ, აქა-იქ; ზოგან; ზერეულედ; ზედაპირულად; ნაწილობრივ; თხლად; თანდათანობით; ძლიეძლიეობით, ძლივს; აგრეთვე ზმნები: დაიწყებს, მოაკლდება, დაცოტავდება, დაპატარავდება...

არის შემთხვევა, რომ ზმნისწინიანი ფორმა ოდნაობითობის გაგებას შეიცავს, მაგრამ ლექსიკონში არც განმარტებასა და არც საილუსტრაციო ფრაზაში არაა მითითება ამაზე.

ჩვენი ვარაუდის დასადასტურებლად მივმართავთ თარგმნით ლექსიკონს — ქართულ-რუსულს, სადაც მოქმედების სიმცირის, ოდნაობითობის გამოხატვისას მოხმობილია შესაბამისი ენის საშუალებანი: წინდებულები за-, по-, при- და ზმნიზედები слегка, чуть, еле, едва, немного, постепенно; ზმნა начинать.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. და ქ. დათიკაშვილების ლექსიკონში წარმოდგენილია ზმნის უპირო ფორმა — საწყისი (მარტივად და წინდებულით) და მის შესატყვისად მოყვანილია ინფინიტივი.

ამდენად, იმ მრავალფეროვნებას, რაც ქველ-შია წარმოდგენილი, ეს ლექსიკონი მოკლებულია. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ოდნაობითობა მითითებულია იმ ფორმაში, რომელსაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ამ მხრივ ნეიტრალურად მიიჩნევს:

შე-ბინდება — 2. а. наступление сумерек (შებინდა),  
стемнеть, смеркнуться

- შებრუება - 2. შებრუდა **слегка опьянеть**  
მცირედ ღათრობა **подвыпить**
- შე-ზარხოშება - 3. (შეზარხოშდა, შეზარხოშდება) **подвыпить, слегка (о)пьянеть**
- შე-ღაეება - 2<sup>ა</sup> (შეკამათება) **заспорить; поспорить; начинать спорить с кем-н.**
- შე-ვერცხვლა - 3<sup>ბ</sup> (შევერცხვლა; ვერცხვლებოდა) **засеребриться, начинать серебриться.**  
თმა შევერცხვლა.
- შე-ღაპარაეება - 2<sup>ბ</sup> **заспорить; начинать спорить (შეკამათება)**
- შე-ცმაცუნება - (შეცმაცუნა, შეცმაცუნებდა) **пошевелить губами, начинать шевелить губами.**
- შე-ვლება - (შეავლო, შეავლებდა); თვალის შ. **оки/нуть, -дывать кого-то взглядом; (სწრაფად შეხედვა)**
- შე-თვალეირება - 2. (შეთვალეირა, შეთვალეირებდა), **осм/отреть, -атривать; оки/нуть, -дывать взглядом (взором, глазами):**
- შე-რბენა - 2. (შეირბინა, შეირბენდა) ა. **вбе/жать/гать.**  
ბ. (მოკლე ხნით სანახავად შესვლა) **забежать, забегать.**
- წამო-ტკივება - (წამოსტკივდა, წამოსტკივებოდა) **(слегка забол[ва]ть) (у кг.-н):**  
თავი წამოსტკივდა **слегка заболела голова.**
- წა-თვლება - (წათვლიმა, წათვლებდა) **вздremнуть; нач[ин]ать дрemать.**
- წამო-წინწკვლა - (წამოწინწკლა); **ოდნავ წამოწინწკლა**  
**чуть покрапало дождик, чуть покапал (покрапал).**
- წამო-ყინეკვლა - წამოყინეკვლა **немножко покрапало (поморосило); недолго покрапал (поморосил) дождь.**
- წა-კინკლავება - (წაკინკლავდა, (წა)ეკინკლავებოდა) **[по]вздорить с кем н. სულ უბრალო რამეზე წაკინკლავდება ხოლმე из-за каждого пустяка начинает с ним вздорить.**
- წა-ლულვა - (წალულა, წალულავდა) (თვალისა) **сомкнуть, смыкать глаза. პატარა წავლულო თვალი дай немножко вздремлю.**
- წამო-კნავლება - (წამოკნავლა) ა. (კატისა) **промяукать;**  
ბ. (ადამიანისა: მისუსტებული ხმით თქმა) **произнести слабым голосом.**
- წა-ღიღინება - (წაიღიღინა) **пропеть тихим голосом; пропеть вполголоса.**



- წა-ძუნბულება – (წაძუნბულდა, წაძუნბულდებოდა) негорюливо загрузить; пус/титься, -каться негорюливой трусдой.
- ჩამო-ცოცება – 2. (ჩამოცოცდა, ჩამოაცოცებდა) (მალულად, პარვით ჩამოტანა) тайком (украдкой) стащить, стаскивать что-н.
3. ჩამო-ცოცება, ჩამოცოცდებოდა сползти, -ать; ползком спус-титься, -каться вниз.
- ჩამო-ლამება – (ჩამოლამდა, ჩამოლამდებოდა) свечереть; стемнеть; начинать темнеть.
- ჩა-თვლება – (ჩათვლიმა) задремать; вздремнуть (მცირე ხნით).
- ჩამო-ბინდება – (ჩამობინდდა, ჩამობინდდებოდა) свечереть, вечереть (მოსალამება); стемнеть სრ. ასპ. ტემნეთ უსრ. ასპ. როცა ჩამობინდდებოდა когда наступали сумерки; когда наступал вечер.

ქვემოთ წარმოდგენილია ის ფორმები, რომლებიც ქველ-ში არაა (შე- ზმნისწინიანი არ დადასტურებულა, ხოლო წა- და ჩა- შეგვხვდა):

- წა-ბრეცა – (წაბრიცა) 1. слегка покосить დრომ წაბრიცა კარი дверь слегка покосило от времени.
- (წაბრიცა) 2. слегка покоситься.
- წა-გვანება – (წაგავდა) слегка походить (бить похожим) на кого-н, на что-н..
- წა-ფიფქვა – (წაფიფქა) слегка запорошить.
- წა-პურთავება – (წაიპურთავა) немного поиграть в мяч.
- წამო-წვიმა – ცოტა წამოწვიმა და შერერდა немного покапал (покрапал) и перестал.
- წამო-ხმარება – (წამოახმარა, წამოახმარებდა): ხელის (მცირედ) მოხმარება немного помо/чь, -гать кому-н, в чем-н..
- წა-თათბირება – (წათათბირეს) [по]совещаться некоторое время.
- წამო-ზმუკლება – (წამოიზმუკლა) промычать (о протяжном, негромком мычании).
- წა-ავადმყოფება – (წაიავადმყოფა, წაიავადმყოფებდა) прихворнуть, прихварывать.
- ჩა-კრუტუნება – (ჩაიკრუტუნა, ჩაიკრუტუნებდა) (კატისა) промурлыкать სრ., ასპ. начинать мурлыкать.
- ჩა-კრუსუნება – (ჩაიკრუსუნა) простонать слабым голосом.

ლა 'ჩმნები, რომელთა განმარტება ქველ-ში მიუთითებს ოდნაობითობას  
შესაბამისად წარმოჩენილია ქართულ-რუსულ ლექსიკონშიც:

- შე-ბარბაცება - 1. (შეაბარბაცა) зашататься (ბარბაცის დაწყება);  
качнуться ცოტად შებარბაცება  
он слегка качнулся.
- შე-ლბობა - 2. (შეაღბო) слегка смягчить  
3. (შელბა) слегка смягчиться
- შე-ლზობა - 2. (შეაღზო, შეაღზობდა) (ოდნავ გაღზობა)  
слегка раст/опить, -апливать.  
3. ოდნავ გაღზობა (ყინულისა)  
слегка раста/ять, -ивать;  
подта/ять, -ивать (ოდნავ გაღზობა,  
ქვევიდან, ნაპირებიდან).
- შე-ნაყრება - 2. (შენაყრდა, შენაყრდებოდა) -  
слегка зак/усить, -усывать;
- შე-ოფლიანება - (შეოფლიანდა) немного (слегка) вспотеть.
- შე-წითლება - 2<sup>1</sup> (შეაწითლა, შეაწითლებდა)  
(ოდნავ გაწითლება: ცის ტატნობისა) зарумянивать.
- შე-ჭკნობა - (შეჭკნა, შეჭკნებოდა) слегка зав/януть, -ядать.
- შე-ეჭვება - 3. (შეეჭვდა, შეეჭვდებოდა) усомниться  
სრ. ასპ. начинать сомневаться.
- შე-ოვალება - 2. (შეთვალდა, შეთვალდებოდა)  
начинать вызревать (созревать).
- შე-ნძრევა - 3. (შეინძრა, შეინძრებოდა) ა. (ვინმესი, რამისა)  
пошевелиться, пошевелинуться.
- ერთგზ. начинать უსრ. шевелиться.
- შეშობერება - (შეშობერდა, შეშობერდებოდა) (თანდათან,  
შეუმჩნეველად დაბერება) постепенно,  
незаметно [со]стариться.
- შემო-ლასლასება - (შემოლასლასდა, შემოლასლასდებოდა) войти,  
входить куда-н. насильно (едва; еле)  
передвигая ногами (ноги).
- შე-მწვანება - (შემწვანდა) зазеленеть (ბალახით, ფოთლით  
შემოსვის დაწყება)
- შე-ნელება - 2<sup>1</sup> (შეანელა, ანელებდა) ა. (სიჩქარის, სისწრაფის  
მოკლება: მოუკლო) замедлить, -ячь что-н.
- შე-ჟონვა - (შეჟონა, შეჟონადა) проник/нуть, -ать  
(о жидкости; შეღწევა); прос/очиться,  
-ачиваться (внутри: ჟონვით ნელ-ნელა შესვლა, შეღწენა).
- შე-სიკება - (შესიკდა, შესიკდებოდა) припух/нуть.
- წა-მუშავება - (წაიმუშავა) немного поработать.
- წა-ქეიფება - (წაიქეიფა) немного кутнуть.

- წა-ლაპარაკება - (წაულაპარაკა) (გაკვრით ვინმესთვის რამის თქმა) сказать мимоходом.
- წა-ძღერება - (წაიძღერა) (თავისთვის, ცოტა ხანს მღერა; სიმღერით თქმა) пропеть (про себя, коротко; проговорить нараспев).
- წა-ძინება - (წაიძინა) (ცოტა ხნით დაძინება) соснуть.
- წა-ხვევა - (წაახვა) оторвать (небольшой кусок).
- ჩა-ჩეჩქვა - მცირედ ჩანაყვა слегка истолочь..
- ჩა-ლაპარაკება -  $1^2$  (გადაკვრით თქმა) говорить намеками, намек/шуть, ~ать.

ჩვენი მიზანი იყო განმარტებებში ოდნობითობის გადმოცემის საშუალებათა აღწერა და კომენტირება. შეპირისპირებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ის, რაც ქართულში ზმნისწინის წყალობით პარადიგმატულად გამოიხატება (შეზარხოშდა, წათვლემს, ჩაილაპარაკებს, წაკრეფს, წაეხმარება), რუსულში არ წარმოგვიდგება მხოლოდ ერთი ფორმის მეშვეობით, საჭიროა დამატებითი საშუალებანი (чуть, немного, едва, слегка).

მოკვებული მასალიდან მაინც ყველაზე მეტად საყურადღებოდ უცანით ის გარემოება, რომ ზოგჯერ ქართულ-რუსული ლექსიკონი ამ ელფერს, ნიუანსს ავლენს იქ, სადაც ქველ-ში ამაზე არ არის გამახვილებული ყურადღება. საქმე ისაა, რომ ოდნობითობა შეფასებით მომენტს შეიცავს და ინდივიდის ნებაზე ჰკიდია, მიმართავს თუ არა მას. ამიტომაც შეიძლება ლექსიკონს გარეთ დარჩეს მრავალი ფორმა, რომელსაც აქვს მოქმედების სიმცირის, ოდნობის გაგება.

## ზმნისწინები და სიტყვაწარმოება ქართულ ზმნებში

